სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/201

ქ. თბილისი 29 დეკემბერი 2025წ

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 ოქტომბრის №159/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 დეკემბრის №01-05-02/29 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესი“ (დანართი).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული მასწავლებლის სამსახურში აყვანის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 31 ივლისის №01-05-04/220 დადგენილება.
3. დადგენილება ძალაშია 2026 წლის 01 იანვრიდან.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესი

მუხლი 1.ზოგადი დებულებები

1. პროფესიული მასწავლებლის მიღების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესი (შემდეგში - წესი) მიზნად ისახავს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდეგში - უნივერსიტეტი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კვალიფიციური, სათანადო ცოდნისა და გამოცდილების, შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე პირების შერჩევის და მათი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მიზნით შესაბამისი პირობების განსაზღვრას.
2. ეს წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, მათ პროფესიულ განვითარებასა და კარიერული წინსვლასთან დაკავშირებით შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.
3. წინამდებარე წესი განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული განათლების მასწავლებლის (ძირითადი მასწავლებელი და მოწვეული მასწავლებელი) პოზიციაზე პირის შერჩევისა და მიღების კრიტერიუმებს, აგრეთვე მათი პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის რეგულაციებს.

მუხლი 2. პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსის მოპოვება და შეწყვეტა

1. პირი, უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსს მოიპოვებს პროგრამის განხორციელების შესახებ წინარე ხელშეკრულების, შრომითი ხელშეკრულების გაფორმების გზით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების ვადის გასვლის, ან შეწყვეტის შემთხვევაში პირს უწყდება უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსი.
3. პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსის მინიჭების, ან შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად აისახება ელექტრონულ სისტემაში.
4. პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსის მოპოვება ხდება თავიდან, კანონმდებლობით და ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 3. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღების წესი

1. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღება ხორციელდება წერილობითი განცხადებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის/დარგის კომპეტენციის დამადასტურებელი

დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსის/გასაუბრების და კვალიფიკაციის/დარგის კომპეტენციის შესაბამისობის დადასტურების შედეგად.
2. პროფესიული განათლების მასწავლებლის შესარჩევად შესაძლებელია გამოყენებული იქნას კონკურსით შერჩევის წესი, რომლის თაობაზეც უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე/ოფიციალურ სოციალურ გვერდზე ან/და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ქვეყნდება პროფესიული განათლების მასწავლებლის ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია, ვაკანსიის დასახელების, სტანდარტის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების, წარსადგენი დოკუმენტაციის და სხვა პირობების მითითებით.
3. შერჩევისას უპირატესობა მიენიჭება შესაბამისი დარგობრივი პროფილით მუშაობის სტაჟსა და/ან პედაგოგიურ გამოცდილებას.

მუხლი 4. პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობაზე შერჩევის პირობები

1. ძირითად პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის დასაწყებად კანდიდატს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება, ან/და პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი არანაკლებ ბოლო 10 წლის განმავლობაში სულ მცირე სამ წლიანი სამუშაო გამოცდილება.
2. მოწვეულ პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის დასაწყებად კანდიდატს უნდა ჰქონდეს პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი სამუშაო გამოცდილება და პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსის მოპოვების დროისთვის უნდა იყოს მოქმედი პრაქტიკოსი შესაბამის დარგში.
3. პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციისთვის სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიძლება დადგინდეს დარგის/მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოდულის სტანდარტული ჩანაწერებით.
4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, ძირითადი და მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციებისთვის დაადგინოს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
5. დაუშვებელია, ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა.

მუხლი 5. კონკურსით მიღების წესი

1. პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობაზე კანდიდატის კონკურსის წესით შერჩევისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.
2. პროფესიული განათლების მასწავლებელის მისაღებად, ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსის შესახებ უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განისაზღვრება:
ა) კანდიდატის მიერ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა;

ბ) საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
გ) დოკუმენტების წარმოდგენის ვადა და ადგილი;
დ) კონკურსის შედეგების გამოცხადების ვადები.
3. კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება: კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნისა და/ან კომისიის წევრის/წევრებისაგან. კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია მოწვეული იქნეს პროგრამ(ებ)ის თანაგანმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენელი.
4. კონკურსის პრინციპები, ძირითადი მოთხოვნები, ეტაპები, ვადები და კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის.
5. საკონკურსო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
6. კომისია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით.
7. საკონკურსო კომისიის მიერ, დოკუმენტების განხილვის საფუძველზე დგება საკონკურსო კომისიის სხდომის ამსახველი ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
8. კონკურსში მონაწილე პირთაგან კონკურსის პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობაზე პირის შერჩევის თაობაზე, რაც ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით და წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს შემდეგი რეაგირებისათვის.

მუხლი 6. პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობაზე დანიშვნა

1. შერჩეულ კანდიდატს პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობაზე ხელშეკრულებას უფორმებს უნივერსიტეტის რექტორი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ძირითადი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 თვის ვადაში დაადასტუროს კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული განათლების მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის გავლა, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც მას უკვე დადასტურებული აქვს პროგრამის გავლა.
3. პროფესიული განათლების მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის გავლამდე/გავლის დადასტურებამდე, ძირითად პროფესიული განათლების მასწავლებელთან ხელშეკრულება იდება არაუმეტეს 18 თვის ვადით.
4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ძირითად პროფესიული განათლების მასწავლებელს დაასრულებინოს მოდულის განხორციელება, რომლის განხორციელებაც დაწყებული აქვს. ძირითადი მასწავლებელს, რომელიც 18 თვის გასვლის შემდგომ პროფესიული განათლების მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის გავლის დადასტურებას ვერ შეძლებს, ეზღუდება საქმიანობის გაგრძელება აღნიშნული პროგრამის გავლის დადასტურებამდე.
5. მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია დაადასტუროს პროგრამის/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისა და შეფასების

კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ფორმით ან/და სურვილის შემთხვევაში გაიაროს პროფესიული განათლების მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამა.

მუხლი 7. პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების მიზანი და სავალდებულოობა

1. უნივერსიტეტი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასებასა და პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარების გეგმის შედგენას.
2. პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების მიზანია:
ა) პროფესიული განათლების მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის საჭიროებების გამოვლენა, ანალიზი და შეფასება;
ბ) ძირითად და მოწვეულპროფესიული განათლების მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
გ) სასწავლო პროცესის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასება და პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარების გეგმის შედგენა სავალდებულოა ძირითადი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, ხოლო მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების გეგმის შედგენა ხორციელდება შეთანხმებით.

მუხლი 8. ძირითადი მასწავლებლის შეფასების პერიოდულობა
1. ძირითადი პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების ორგანიზება ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პერიოდულობით, სულ მცირე 2 (ორ) წელიწადში ერთხელ.
2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ძირითადი პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების პერიოდის დაგეგმვას იმგვარად, რომ უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების გაერთიანებული გეგმის შედგენა დასრულდეს არაუგვიანეს უნივერსიტეტის განვითარების წლიური გეგმის დამტკიცებისა.

მუხლი 9. ძირითადი მასწავლებლის შეფასების მეთოდები
1. ძირითადი პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება ხორციელდება:
ა) ძირითადი პროფესიული განათლების მასწავლებლის თვითშეფასებით, რაც გულისხმობს ძირითადი პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ საკუთარი საქმიანობის ანალიზსა და შეფასებას, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების დადგენას ამ წესის მე-10 მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად, ასევე, აღნიშნულის საფუძველზე, პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავებას;
ბ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სხვა მეთოდით/მეთოდებით.
2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი შეფასების მეთოდის/მეთოდების, შეფასების წესის და ინსტრუმენტების, მათ შორის თვითშეფასების განხორციელების ფორმის, წესისა და პირობების განსაზღვრას ძირითადი პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების

დაწყებამდე არანაკლებ 3 (სამი) თვით ადრე და მის გაცნობას ძირითადი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.

მუხლი 10. ძირითადი პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმები და პროცესი

1. ძირითადი პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმებს წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული თითოეული სტანდარტი.
2. ძირითადი პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების შეფასების პროცესის ადმინისტრაციულ და მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის და შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
3. ძირითადი პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების პროცესი სრულდება პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავებით.

მუხლი 11. ძირითადი პროფესიული განათლების მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა

1. ძირითადი პროფესიული განათლების მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარება უზრუნველყოფილია პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარების გეგმის განხორციელებით.
2. ძირითადი პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარების გეგმის განხორციელებისთვის აუცილებელი ღონისძიებების ორგანიზებისა და განხორციელების მიზნით უნივერსიტეტი უფლებამოსილია:
ა) განახორციელოს ძირითადი პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესყიდვა;
ბ) შრომითი ხელშეკრულება გაუფორმოს შესაბამის ტრენერს/ტრენერებს;
გ) ითანამშრომლოს პროგრამ(ებ)ის თანაგანმახორციელებელთან;
დ) მოიძიოს გრანტი ან სხვა დაფინანსების წყარო;
ე) ითანამშრომლოს სხვა დაწესებულებასთან.

მუხლი 12. პროფესიული განათლების მასწავლებლის კარიერული წინსვლა

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის კარიერული წინსვლის შესაძლებლობებს.
2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, განსაზღვროს პროფესიული განათლების მასწავლებლის რანგები და წოდებები, ასევე ამ რანგის და წოდების მინიჭების პირობები და გამჭვირვალე პროცედურები.
3. უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, შესაძლოა განისაზღვროს პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ დამატებითი, მათ შორის ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულების შესაძლებლობა და დატვირთვის მაქსიმალური მოცულობა საათებში, რაც სასწავლო დატვირთვასთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ დატვირთვას.

მუხლი 13. გარდამავალი დებულებები

1. პირებს, რომლებიც 2026 წლის 1 იანვრისათვის არიან პროფესიული განათლების მასწავლებლები და არ აკმაყოფილებენ პროფესიული განათლების მასწავლებლის ამ წესით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, აღნიშნული მოთხოვნები დაკმაყოფილებულად ჩაეთვალოთ 2028 წლის პირველ იანვრამდე.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია დააკმაყოფილოს პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის ამ წესით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნულის განუხორციელებლობის შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულია პირს შეუწყვიტოს პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსი.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებელს დაასრულებინოს მოდულის განხორციელება, რომლის განხორციელებაც დაწყებული აქვს.
4. პირებს, რომლებიც 2026 წლის 1 იანვრისათვის არიან პროფესიული განათლების მასწავლებლები და აღნიშნული პერიოდისთვის გავლილი აქვთ ტრენინგები, აღნიშნულის აღიარების მიზნით უფლებამოსილნი არიან ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოში წარადგინონ დამადასტურებელი დოკუმენტები 2026 წლის პირველ აგვისტომდე, ხოლო ზემოაღნიშნულის წარუდგენლობის შემთხევაში, 2028 წლის პირველ იანვრამდე ვალდებულნი არიან გაიარონ ან/და დაადასტურონ პროფესიული განათლების მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის გავლა.
5. 2026 წლის 1 იანვრის შემდგომ დაუშვებელია პროფესიული განათლების მასწავლებლად ისეთი პირის მიღება, რომელიც არ აკმაყოფილებს პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირებისა.
6. დაევალოთ შესაბამისი ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს და პროგრამის ხელმძღვანელებს წარმოადგინონ წინადადებები ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, მათ შორის უზრუნველყონ პროფესიული განათლების მასწავლებლების ძირითად და მოწვეულ მასწავლებლებად განსაზღვრა და 2026 წლის 1 ივლისამდე მიაწოდონ ინფორმაცია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრს შესაბამისი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით ელექტრონულ სისტემაში ასახვის მიზნით.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები

ეს წესი ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.